



როიალ ტრეიდიנג გრუპი
ROYAL TRADING GROUP

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„როიალ ტრეიდიנג გრუპ“

(ს/დ 400255399)

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის




ქ. თბილისი

სარჩევი :

1. ზოგადი ინფორმაცია
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება;
3. მოგება ან ზარალის ანგარიშგება;
4. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები;

დირექტორი

A stylized handwritten signature in black ink, consisting of several overlapping loops and strokes.

/ რეზა თავაზოვი /

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „როიალ თრეიდინგ გრუპ“ რეგისტრირებულია 2018 წლის 11 დეკემბერს ს/ნ 400255399, საზოგადოების იურიდიული მისამართია - საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, საქართველოს სამხედრო გზიდან გლდანისაკენ ჩასახვევი გზის მარჯვენა მხარეს; ჯორჯ ბალანჩინის ქუჩა, N 38;

მესაკუთრე - რეზა თავაზოვი პ/ნ 01401125971, წილი საწესდებო კაპიტალში - 100%;

საზოგადოების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია საზოგადოების დირექტორი - რეზა თავაზოვი პ/ნ 01401125971; ორმაგი მოქალაქე საქართველო, ირანი (ისლამური რესპუბლიკა);


ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „როიალ თრეიდინგ გრუპ“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს სტანდარტი).

საწარმოს ძირითადი საქმიანობა არის სამშენებლო მასალების იმპორტი, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების მასალების საცალო და საბითუმო ვაჭრობა;

საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი; ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულებამდე სიზუსტით.

კომპანიაში 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით დასაქმებული იყო 27 თანამშრომელი, წლის განმავლობაში იცვლებოდა თანამშრომელთა რაოდენობა, წლის ბოლოს კი შეადგენდა 27 თანამშრომელს.

დირექტორი



/ რეზა თავაზოვი /

2 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


კომპანია: შპს „როიალ თრეიდინგ გრუპ“

საიდენტიფიკაციო კოდი: 400255399

ვალუტა: GEL

პერიოდი:	01/01/23 - 31/12/23	01/01/24 - 31/12/24
აქტივები	7518296,73	8476324,63
მიმდინარე აქტივები	2519094,61	2197091,34
მიმდინარე მოთხოვნები	441035,23	375022,99
მიმდინარე მოთხოვნები	441035,23	375022,99
გადახდილი ავანსები	0	21400,00
გადახდილი ავანსები	0	21400,00
სასაქონლო მატერიალური აქტივები	1886252,66	1604887,18
სასაქონლო მატერიალური აქტივები	1886252,66	1604887,18
ფული	191806,44	195781,17
ბანკი	158752,73	192541,93
სალარო	33053,71	3239,24
გრძელვადიანი აქტივები	4999202,12	6279233,29
ძირითადი საშუალებები	4883833,63	6174755,61
ძირითადი საშუალებები	4975366,23	6321197,25
ცვეთა	-91532,61	-146441,64
არამატერიალური აქტივები	115369,49	104477,68
არამატერიალური აქტივები	128380,07	135668,20
ცვეთა	-13011,58	-31190,52
პასივები	7518293,73	8476324,63
მიმდინარე ვალდებულებები	679345,93	839152,9
მიმდინარე ვალდებულებები	340809,99	8232,3
მიმდინარე ვალდებულებები	340809,99	8232,3
მიღებული ავანსები	4054,68	14442,63
მიღებული ავანსები	4054,68	14442,63
მოკლევადიანი სესხები	300000,00	800000,00
მოკლევადიანი სესხები	300000,00	800000,00

დირექტორი




/ რეზა თავაზოვი /

სხვა ვალდებულებები	-34481,26	-16477,97
სხვა ვალდებულებები	-34481,26	-16477,97
გრძელვადიანი ვალდებულებები	1648270,92	1786622,38
სასესხო ვალდებულებები	1648270,92	1786622,38
სასესხო ვალდებულებები	1648270,92	1786622,38
სხვა ვალდებულებები	0,00	0,00
კაპიტალი და რეზერვები	5190679,59	5850549,34
საწესდებო კაპიტალი	1092822,00	1092822,00
საწესდებო კაპიტალი	1092822,00	1092822,00
გაუნაწილებელი მოგება	2813623,69	3971541,78
გაუნაწილებელი მოგება	2813623,69	3971541,78
საანგარიშო პერიოდის მოგება ზარალი	1284233,9	786185,56
საანგარიშო პერიოდის მოგება ზარალი	1284233,9	786185,56

დირექტორი: რეზა თავაზოვი

27.06.2025

დირექტორი



/ რეზა თავაზოვი /

3 მოგება ზარალის უწყისი

პერიოდი:	01/01/23 - 31/12/23	01/01/24 - 31/12/24
საოპერაციო შემოსავლები	11 153 976,67	13 878 154,60
შემოსავალი რეალიზაციიდან	11 185 918,26	13 990 483,34
გაყიდული საქონელი დაბრუნება და ფასდათმობა	-31 941,59	-112 328,74
არასაოპერაციო შემოსავლები	228 003,55	225 811,52
არასაოპერაციო მოგება	200 054,85	199 745,80
კონვერტაციის შემოსავალი	6 982,43	13 233,03
დამრგვალების შემოსავალი	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	20 966,27	12 345,19
განსაკუთრებული შემოსავლები	0	487,50
შემოსავლები სულ	11 381 980,22	14 103 966,12
საოპერაციო ხარჯები	9 686 047,88	12 803 738,83
ცვეთა და ამორტიზაცია	76 453,76	81 898,3
სხვა საოპერაციო ხარჯები	0,00	0
გაყიდული შეძენილი საქონელი	8 611 500,57	11 335 266,64
სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირება	35 948,34	35 300,98
რეკლამის ხარჯები	8 226,43	8 173,51
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	91 057,37	118 798,21
მიწოდების სხვა ხარჯები	0	0,00
შრომის ანაზღაურება	706 939,8	1 026 288,59
სოციალური დანარიცხები	13 293,11	20 649,00
საიჯარო ქირა	124,12	434,32
კომუნიკაციის ხარჯები	10 257,33	10 160,73
კომუნალური ხარჯები	23 479,21	11 846,87
დაზღვევა	1 211,54	2 820,54
სამივლინებო ხარჯები	3 164,66	
რემონტი	12 625,76	1 651.59
კომპიუტერის ხარჯები	661,02	906.78
საკონსულტაციო ხარჯები	26 387,43	55 804.64
სხვა საგადასახადო ხარჯი	10 046,72	16 664.16
კვება	0,00	30 803.57
საბანკო მომსახურება	32 411,67	42 700.42
სხვა საერთო ხარჯი	22 259,03	3 569.97
არასაოპერაციო ხარჯები	411 029,30	514 041.75
საპროცენტო ხარჯები	145 930,67	208 054.19

არასაოპერაციო ზარალი	214 235,26	153 684.25
კონვერტაციის ხარჯი	19 165,39	24 673.07
	0,00	0.00
დამრგვალების ხარჯი ჯარიმები		42 308,00
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	23 079,340	6614,84
დანაკლისი	0	164,69
განსაკუთრებული ხარჯები	0	56 220,00
მოგების გადასახადი	9 287,93	22 322,71
ხარჯები სულ	10 09 7746.75	13 317 780.58
მოგება დაბეგვრამდე	1 284 233,90	786 185.56

დირექტორი რეზა თავაზოპი

27.06.2025


4 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები;

კომპანია იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების თანხებზე მომავალ საანგარიშო პერიოდში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა ასევე იყენებს შეფასებებს (იმათ გარდა, რომლებიც მოიცავენ პროგნოზებს) აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება;

მოქმედი საწარმოს პრინციპი.

მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც

დირექტორი



/ რეზა თავაზოპი /

ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

ფინანსური ა/გარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

საზოგადოება თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.


საზოგადოება უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ეროვნული ბანკის ვალუტის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების კაპიტალური რემონტის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ საზოგადოება შედეგად მიიღებს თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწვევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებების ერთეულს ცვეთა ერიცხება მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის ცვეთადი ღირებულებიდან გამოიქვითება მისი ნარჩენი ღირებულება. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ

დირექტორი



/ რეზა თავაზოჭი /

ბოლო წლიური საანგარიშგებო თარიღის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა საწარმოს მოლოდინები, გადაისინჯება აქტივის ნარჩენი ღირებულება, არსებული ცვეთის მეთოდი და ცვეთის ნორმა. გარდა ამისა, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის საწარმო შეაფასებს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ ძირითადი საშუალების ერთეული შეიძლება იყოს გაუფასურებული (ე.ი. საბალანსო ღირებულება შეიძლება აჭარბებდეს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას). თუ არსებობს რაიმე მსგავსი ნიშანი, ძირითადი საშუალების ერთეული მოწმდება გაუფასურებაზე. როდესაც ხდება ძირითადი საშუალებების ერთეულის საწარმოდან გასვლა, გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაა:

შენობა-ნაგებობები -20 წელი

საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი -5 წელი;

ავტოსატრანსპორტო საშუალებები -5 წელი;

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება: (ა) გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში; ან (ბ) როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა (თუ ასეთი არსებობს) და მის საბალანსო ღირებულებას შორის.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. შეზღუდული სარგებლობის ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს ცვეთა ერიცხება ნარჩენი ღირებულების მეთოდით მომსახურების პერიოდის გათვალისწინებით. ამასთან სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ცალკეული აქტივისათვის ინდივიდუალურად საუკეთესო შეფასების საფუძველზე იმ წინაპირობით, რომ ეს ვადა არ აღემატება 6-7 წელს.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებით, მარაგების თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომელიც დაკავშირებულია ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. ასევე მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს საიმპორტო საბაჟო გადასახადებს, გარდა ისეთი გადასახადებისა, რომლებსაც საგადასახადო ორგანო უკან აბრუნებს, მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები

დირექტორი



/ რეზა თავაზოპი /

სესხებთან დაკავშირებული ყველა სხვა ხარჯი აისახება მათი გაწევის პერიოდში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები შედგება პროცენტისგან და სხვა დანახარჯებისგან, რომლებსაც „კომპანია“ გაიღებს სესხის მისაღებად. გრძელვადიანი სესხი აღებულია უცხოურ ვალუტაში (ევრო), არ ხდება ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია, რადგანაც ხარჯები გაწეულია მიწის შესაძენად, დაფარვის ვადაა 2031 წლის 27 ივნისი.

გადასახადები

ზოგადად მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი საგადასახადო განაკვეთები და კანონები. 2017 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებული ე.წ. „ესტონური“ მოდელის შესაბამისად მოგების მიმდინარე გადასახადის გადახდის ვალდებულება „კომპანიას“ არ გააჩნია და იგი დაბეგვრას ახორციელებს კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.


დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა: თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის აღიარება ხდება მისი კონტრაგენტისათვის მიწოდებისთანავე, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტით. მომსახურების გაწევა მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ანაზღაურების მიღების ალბათობა მაღალია. აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიანად. „კომპანია“ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც: მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში; ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა; მოსალოდნელია მისი

დირექტორი



/ რეზა თავაზოჭი /

რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში; ან აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ. ყველა სხვა აქტივი გრძელვადიანია. ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც: მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ სამუშაო რეჟიმში; ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა; დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება. ყველა დანარჩენ ვალდებულებას „კომპანია“ გრძელვადიან კატეგორიას მიაკუთვნებს.

სავაჭრო და სხვა დავალიანებები

სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

დივიდენდი


2024 წელს კომპანიაში განაწილდა დივიდენდი 120 000.00 ლარის ოდენობით 2023 წლის მოგებიდან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს;

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია მფლობელის მიერ 2025 წლის 27 ივნისს;

დირექტორი



/ რეზა თავაზოჭი /

